



სქაიტელის ძირითადი ელექტრონული საკომუნიკაციო (ინტერნეტი ან/და IPTV) მომსახურების შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: _____

აბონენტი (სახელი, გვარი): _____

აბონენტის პირადი ნომერი: _____

ფაქტ. მისამართი (მომსახურების მიღების ფართი): _____

აბონენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: _____

აბონენტის საკონტაქტო ელ. ფოსტა: _____

წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი: _____ პირადი N: _____

1. კომპანია უზრუნველყოფს აბონენტისათვის ინტერნეტ ან/და IPTV მომსახურებას, წინამდებარე დოკუმენტის, მასზე დართული დანართ(ებ)ისა და „სქაიტელის მიერ ფიზიკური პირებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ (შემდგომში „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“) საფუძველზე (შემდგომში ყველა დოკუმენტი ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „სააბონენტო ხელშეკრულებები“).
2. აბონენტის მიერ შერჩეული ინტერნეტ მომსახურების სახეობა, პაკეტი, საფასური და სხვა პირობები მოცემულია ამ დოკუმენტზე თანდართული დანართი N1-ში, ხოლო IPTV მომსახურების შერჩევის შემთხვევაში არხების ჩამონათვალი მოცემულია დანართი N2-ში. ყველა დასახელებული ინფორმაცია და სააბონენტო ხელშეკრულებები განთავსებული და ხელმისაწვდომია კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.skytel.ge;
3. კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება ხდება აბონენტის მიერ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ან/და სააბონენტო ხელშეკრულებების ელექტრონულად დათანხმებით, რასაც გააჩნია იგივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას.
4. მომსახურების პირველადი ჩართვა ხდება მომსახურების ინსტალაციისთანავე. სააბონენტო ხელშეკრულებების ხელმოწერა/დადასტურება, ინსტალაციის ღირებულებისა და სააბონენტო გადასახდელის გადახდა ხდება სერვისის მოწყობიდან არაუგვიანეს იმავე დღის 00:00 სთ-მდე, თანხის სწრაფი გადახდის აპარატებში გადახდით ან კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით. წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტს შეუზღუდება მომსახურების მიწოდება.
5. აბონენტის მიერ წინამდებარე დოკუმენტის/სააბონენტო ხელშეკრულებების გაცნობა და დადასტურება ხდება შემდგენიარად: აბონენტის მიერ მომსახურების შეკვეთის დროს დაფიქსირებულ ნომერზე იგზავნება ბმულის სახით აბონენტის პირადი სივრცე, რომელშიც განთავსებული იქნება სააბონენტო ხელშეკრულებები და აბონენტის მიერ შერჩეული კონკრეტული მომსახურების სახეობა. აღნიშნული ბმულის გახსნა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ ბრაუზერში. პირად სივრცეში შესასვლელად აბონენტს ეგზავნება უნიკალური კოდი, რომლის მეშვეობით აბონენტს შესაძლებლობა აქვს გახსნას სააბონენტო ხელშეკრულებები, გაეცნოს მათ და დილაკზე „გავეცანი“ და „ვეთანხმები“ თითის დაჭერით აფორმებს კომპანიასთან ხელშეკრულებას. ასეთი ფორმით ნების გამოვლენა უთანაბრდება აბონენტის პირად ხელმოწერას. ელექტრონულ დადასტურებას, როგორც მხარეთათვის ასევე, მესამე პირებისათვის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.
6. წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ან ელექტრონული ფორმით დათანხმებით აბონენტი თანახმაა, რომ სააბონენტო დოკუმენტების, მომსახურების სახეობების შეცვლის, ტექნიკური მოწყობილობების შეცვლის და სხვა მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მოხდეს კომპანიის აბონენტად დარეგისტრირების დროს შექმნილი პირადი სივრცის მეშვეობით, აბონენტის



მობილურის ტელეფონზე კომპანიის მიერ გამოგზავნილი უნიკალური კოდის დადასტურების შედეგად უნიკალური კოდის დაცვასა და გაუმჯობესებლობაზე პასუხისმგებელია აბონენტი.

7. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ან ელექტრონულად დადასტურებით აბონენტი ადასტურებს, რომ მომსახურების ინსტალაციის დროს კომპანიის წარმომადგენლისგან მიიღო სრული ინფორმაცია მომსახურების წესებსა და პირობებზე, გაეცნო სააბონენტო ხელშეკრულებებს და ეთანხმება მათ.
8. აბონენტის მიერ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები განთავსებულია მის პირად სივრცეში, რომლის დათვალიერება და ჩამოტვირთვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს პირად სივრცეში შესვლის გზით. აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გადაეცემა სააბონენტო ხელშეკრულებები ბეჭდური სახით.
9. კომპანია უზრუნველყოფს აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულ(ებ)ებისა და მისი დანართების დასკანერებული ასლის შენახვას აბონენტის პირად სივრცეში, რათა აბონენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს ხელშეკრულებების/დანართების დათვალიერება/ჩამოტვირთვა.
10. კომპანია აბონენტს ინტერნეტ მომსახურებას გაუწევს კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში.
11. ყველა გადასახდელი მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს.
12. აბონენტის მიერ მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადახდა ხდება წინასწარ, მომსახურების გააქტიურებიდან სააბონენტო ბალანსის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე.
13. მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა ხდება მომსახურების ღირებულების დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში(იხ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები).
14. მომსახურების პაკეტებს, ინტერნეტის ხარისხის მაჩვენებლებს ან/და სხვა პირობებს აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.skytel.ge ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: **(+995 32) 2-500-300**.
15. აბონენტი თანახმაა, რომ მისი პერსონალური ინფორმაცია (მონაცემი) დამუშავდეს კომპანიის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აბონენტისათვის მომსახურების გაწევის მიზნებისათვის.
16. აბონენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პერსონალური და საკონტაქტო მონაცემები სწორი და ნამდვილია. აბონენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპანიას პერსონალური მონაცემებისა და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე, კომპანიის ცხელ ხაზზე **+995 32 2500 300** დარეკვით ან სერვის-ცენტრში წერილობითი განაცხადის შეტანის გზით ან კომპანიის ელ.ფოსტაზე წერილის გაგზავნით. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიაში იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას კომპანიისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების არ/ვერ გაცნობის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა და ზარალზე.
17. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე ან აბონენტის მხრიდან ელექტრონულად დადასტურებისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
 - წინამდებარე ხელშეკრულებით, აბონენტს ინტერნეტ ან/და IPTV მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები/აპარატურა გადაეცემა დროებით სარგებლობაში. სააბონენტო გადასახდელი მოიცავს მოწყობილობის/აპარატურის დროებითი სარგებლობის ღირებულებას. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი **ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას** მისთვის გადაცემული მოწყობილობები/აპარატურა გამართულ მდგომარეობაში ან/და აანაზღაუროს მისი ღირებულება ძირითადი წესებითა და პირობების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
 - წინამდებარე ხელშეკრულებით აბონენტს ინტერნეტ ან/და IPTV მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები/აპარატურა გადაეცემა საკუთრებაში. აბონენტის მიერ აღნიშნული მოწყობილობის/აპარატურის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ინსტალაციის დღეს არაუგვიანეს 00:00 სთ-სა, წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტს მომსახურების მიწოდება შეუზღუდება.



№	მოწყობილობის/აპარატურის დასახელება	რაოდენობა	აპარატურის სარეალიზაციო ღირებულება ლარში, დღგ-ს ჩათვლით

მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის შპს „სქაიტელის“ საიდენტიფიკაციო მონაცემები:

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400013748;

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N23ა;

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N23ა;

ოფიციალური ინტერნეტ გვერდის მისამართი: www.skytel.ge;

ცხელი ხაზის ნომერი: (+995 32) 2-500-300;

საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ანგ. ნომერი ლარში: GE43TB7647336020100003;



დანართი N1

აბონენტის მიერ სასურველი მომსახურების პაკეტის არჩევა ხდება ქვემოთ მითითებულ გრაფაში მონიშვნით/დადასტურებით:

რადიო - სარულო ინტერნეტ მომსახურების პაკეტები (კერძო სახლი)					
ინტერნეტის ხარისხის მაჩვენებელი და სატარიფო გეგმა					
პაკეტი	მინი	ეკონომი	სტანდარტი	პრემიუმი	ტურბო
სააბონენტო გადასახადი	20 ლარი	25 ლარი	30 ლარი	35 ლარი	40 ლარი
მომსახურების ინსტალაციის საფასური	35 ლარი	25 ლარი	25 ლარი	უფასო	უფასო
მაქსიმალური სიჩქარე	4 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	12 მბ/წმ
მინიმალური სიჩქარე	1.6 მბ/წმ	2.4 მბ/წმ	3.2 მბ/წმ	4 მბ/წმ	4.8 მბ/წმ
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე	3.2 მბ/წმ	4.8 მბ/წმ	6.4 მბ/წმ	8 მბ/წმ	9.6 მბ/წმ
დაყოვნება	< 600 მ/წ	< 600 მ/წ	< 600 მ/წ	< 600 მ/წ	< 600 მ/წ
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	< 10 %	< 10 %	< 10 %	< 10 %	< 10 %
ჯიტერი	< 150 მ/წ	< 150 მ/წ	< 150 მ/წ	< 150 მ/წ	< 150 მ/წ
აბონენტი სასურველი პაკეტის არჩევას ადასტურებს შესაბამის ველში მონიშვნით					



რადიო - სარელეო (კორპუსის) ინტერნეტ მომსახურების პაკეტები				
ინტერნეტის ხარისხის მაჩვენებელი და სატარიფო გეგმა				
პაკეტი	მინი	ეკონომი	სტანდარტი	ტურბო
სააბონენტო გადასახადი	20 ლარი	25 ლარი	30 ლარი	35 ლარი
მომსახურების ინსტალაციის საფასური	25 ლარი	25 ლარი	25 ლარი	უფასო
მაქსიმალური სიჩქარე	5 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	30 მბ/წმ
მინიმალური სიჩქარე	2 მბ/წმ	4 მბ/წმ	8 მბ/წმ	12 მბ/წმ
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე	4 მბ/წმ	8 მბ/წმ	16 მბ/წმ	24 მბ/წმ
დაყოვნება	< 600 მ/წ	< 600 მ/წ	< 600 მ/წ	< 600 მ/წ
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	< 8 %	< 8 %	< 8 %	< 8 %
ჯიტერი	< 150 მ/წ	< 150 მ/წ	< 150 მ/წ	< 150 მ/წ
აბონენტი სასურველი პაკეტის არჩევას ადასტურებს შესაბამის ველში მონიშვნით				

ოპტიკურ - ბოჭკოვანი ინტერნეტ მომსახურების პაკეტები				
ინტერნეტის ხარისხის მაჩვენებელი და სატარიფო გეგმა				
პაკეტი	მინი	ეკონომი	სტანდარტი	ტურბო
სააბონენტო გადასახადი	20 ლარი	25 ლარი	30 ლარი	40 ლარი
მომსახურების ინსტალაციის საფასური	25 ლარი	25 ლარი	უფასო	უფასო
მაქსიმალური სიჩქარე	20 მბ/წმ	30 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ
მინიმალური სიჩქარე	8 მბ/წმ	12 მბ/წმ	16 მბ/წმ	20 მბ/წმ
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე	16 მბ/წმ	24 მბ/წმ	32 მბ/წმ	40 მბ/წმ
დაყოვნება	< 500 მ/წ	< 500 მ/წ	< 500 მ/წ	< 500 მ/წ
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	< 4 %	< 4 %	< 4 %	< 4 %
ჯიტერი	< 70 მ/წ	< 70 მ/წ	< 70 მ/წ	< 70 მ/წ
აბონენტი სასურველი პაკეტის არჩევას ადასტურებს შესაბამის ველში მონიშვნით				



დანართი N2

არსების ჩამონათვალი